საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ბაღდადის ქ. №12-ში, მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. ბათუმი **25 აგვისტო 2023 წ**

დამკვეთი: შპს „ელთ ბილდინგი“, ს/№406338100

დამპროექტებელი: შპს „ნეოსენს“, ს/№445631139

ექსპერტიზის მიზანი: დადგინდეს პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების მართებულობა და შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა ქვეყანაში მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებთან და სამშენებლო ნორმებთან და წესებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა №12-ში (საკ. კოდი: 01.17.12.026.002), მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშებების სრული პაკეტი და ანალიზი, განმარტებითი ბარათი და ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.

ნაკვეთი მშენებლობისათვის და ობიექტის მოკლე დახასიათება

საპროექტო მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს დაახლოებით ცენტრლურ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის ჭალისპირა ტერასაზე, ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე, გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მარტივი და სწორი რელიეფისა და 8400.00 მ^2 საერთო ფართის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც გეოლოგიურად აგებულია ზემოდან ნაყარი გრუნტით გადაფარული, ძნელპლსტიკური კონსისტენციის თიხნრებითა და ძლიერ გამოფიტული საშულო სიმტკიცის კლდოვანი ქანებით და ქვიშაქვებით; კლიმატური თვალსაზრისით კი ტერიტორია მიეკუთვნება საშუალოდ თბილ და ტენიან კლიმატურ ზონას, ცხელი ზაფხულით, ჭარბი ტენიანობითა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექებით წლის ყოველ სეზონში.

სამშენებლო ნორმებისა და წესების („სეისმომედეგი მშენებლობა” პნ 01.01-09) სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით, ქ. თბილისი მდებარეობს 8-ბალიანი ინტენსივობის ზონაში. დაპეროექტების ნორმების („სამშენებლო კლიმატოლოგია” პნ 01.05-08) მიხედვით, ქ. თბილისისათვის თოვლის საფარის წონაა 0.50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 0,85 კპა.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის აღწერა და ექსპერტის შეფასება

საპროექტო ობიექტი განთვსებულია 8400.00 მ^2 სერთო ფართის მქონე მიწის ნაკვეთზე და პროექტი ითვალისწინებს მრავლფუნქციური კომპლექსის დაგეგმარებას, რომელიც გეგმაში მრავალკუთხედის ფორმისაა, გაბრიტული

ზომებით: 116.19X51.04 მ (მიწისპირა სართული) წარმოგენილია ორი (A და B) 22 სართულიანი ბლოკის სახით. თითოეული ბლოკის გაბარიტული ზომებია: 75.12X39.10 მ (A ბლოკი) და 60.07X38.04 მ (B ბლოკი), ხოლო საერთო სიმაღლეები 76.00 მ და მათ აერთიანებს მიწისქვეშა ავტოსადგომის სივრცე, რომელიც განთავსებულია სამ (-3, -2 და -1) სართულზე (სიმაღლეები: 3.0., 3.0 და 3.25 მ).

A ბლოკის პირველი სართული (სიმაღლე 6.0 მ) ეთმობა კომერციული დანიშნულების ფართებს და რეცეფშენს; მეორე-მესამე სართულები (სიმაღლეები 3.50 და 3.20 მ) სასტუმროსა და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო სივრცეებს (აუზის დარბაზი, სპა, ფიტნესი, საკონფერენციო დარბაზი და სხვა). მეოთხე-ოცდამეორე სართულებზე (სიმაღლეები 3.20 მ) კი ეწყობა სასტურმოს ტიპის საცხოვრებელები (აპარტოტელი).

B ბლოკის პირველი სართული, ასევე, ეთმობა კომერციული დანიშნულების ფართებსა და რეცეფშენს; მეორე-ოცდამეორე სართულები კი სასტურმოს ტიპის საცხოვრებელს (აპარტოტელი).

ტერიტორიაზე დაგეგმარებულია ასევე პანდუსები შენობის მიწისქვეშა სართულებზე განთავსებულ პარკინგებზე ჩასასვლა/ამოსვლისთვის.

ორივე შენობისთვის გამოყენებულია ბრტყელი (მინიმალური ქანობით 2%), მრავალშრიანი კონსტრუქციის გადახურვა, რომელიც შედგება: გაძლიერებული ბეტონის ფილის, ორთქლიზოლაციის, თბოიზოლაციის, არმირებული მოჭიმვის (ქვიშა-ცემენტის) და ჰიდროიზოლაციისაგან.

შენობების ქვეშ გათვალისწინებულია -11.15 (-12.35 ლიფტის შახტების ქვეშ) ნიშნულზე ჩაღრმავებული, 180 სმ სისქის, მონოლითური რკინაბეტონის ფილის ტიპის საძირკვლები, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნებიან ერთმანეთისგან ჰიდროიზოლაციის ფენით გამოყოფილ, 20 სმ სისქის ბეტონის მოსამზადებელ ფენას და პროექტის გეოლოგიურ ნაწილზე წარმოდგენილია ექსპერტის, პროფ. ია მშიდობაზძის დადებითი საექსპერტო დასკვნა.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობები წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის მზიდკედლებიანი კარკასის (კონსტრუქციის ტიპი I- *A)* სახით და მათი სიხისტე უზრუნველყოფილია კიბის უჯრედების, სართულშუა გადახურვის ფილების, სვეტების (პილონები), მონოლითური კედლებისა და დიაფრაგმების კონსტრუქციებით.

მრავალფუნქციური კომპლესის გარე პერიმეტრზე გათვალისწინებულია -25.10 ნიშნულზე ჩაღრმავებული, 90 სმ დიამეტრისა და 24.0 მ სიგრძის, მონოლითური რკინაბეტონის შემომფარგლავი, მკვეთი ხიმინჯების მოწყობა,

რომლებიც -1.10 და -0.10 ნიშნულებს შორის, იკვრებინ 100X100 სმ კვეთის მონოლითური რკინაბეტონის კოჭებით.

მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (პილონები) კვეთები მიღებულია 205X50, 150X40, 100X50, 100X40 და 50X50 სმ, მონოლითური რკინაბეტონის კედლების სისქეები 30 სმ, მაგრამ პროექტში გამოყენებულია, ასევე, 40X40 სმ კვეთის სვეტებიც, სართულშუა გადახურვის ფილების სისქეები მიღებულია 30 სმ (მიწისქვეშა და პირველი სართული) და 25 სმ (ზედა სართულები).

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები ეწყობა მიწისქვეშა და პირველი სართულების გარე პერიმეტრზე, კიბის უჯრედების ფარგლებში და ცალკეული ზედა სართულების გადახურვის სახასიათო ადგილებში.

საძირკვლის ფილაში, შემომზღუდავ კედლებში და ცალკეული სართულის გადახურვებში გათვალისწინებულია ჯდენის ნაკერების მოწყობა.

კიბეების, აივნების, პარაპეტის, ზღუდარების, პანდუსებისა და ლიფტის შახტის კედლის კონსტრუქციები მიღებულია, ასევე, მონოლითური რკინა-ბეტონისაგან. ყველა ჩამოთვლილი ელემენტისათვის მითითებულია ბეტონის კლასები სიმტკიცის, წყალმედეგობისა და ჩაწყობის მოხერხებულობის მიხედვით, ბეტონის დამცავი შრის სისქეები და არმატურისა და ბეტონის კლასები.

გარე შემომზღუდავი და სათავსოთა გამყოფი არამზიდი კედლებისა და ტიხრებისათვის გათვალისწინებულია მსუბუქშემავსებლებლიანი საკედლე და სატიხრე ბლოკების გამოყენება.

სახურავები ეწყობა ბრტყელი, თბო და ჰიდროიზოლაციის დამცავი ფენითა და წყლის გადაყვანისათვის საჭირო მინიმალური ქანობით, რომელიც ზემოდან იფარება კერამიკული ბლოკებით და იგი ასრულებს, ასევე, ტერასის ფუნქციასაც.

შენობების კარკასის ანგარიში, მათი შემადგენელი ცალკეული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კვეთების შერჩევა და არმირება შესრულებულია შესაბამისი კონსტრუქციული გაანგარიშებების საფუძველზე, რაც ჩატარებულია კომპლექსური კომპიუტერული პროგრამის *(„ЛИРА САПР”-2013 Р3”)* გამოყენებით და მასში გათვალისწინებულია მუდმივი, დროებითი ხანგრძლივი და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვები, ქარისა და 8 ბალის შესაბამისი სეისმიური ზემოქმედება *x* და *y* მიმართულებით და მოქმედი ყველა დატვირთვის შესაბამისი საანგარიშო ძალვების თანწყობები.

პროექტს თან ერთვის სრულყოფილად დამუშავებული „კონსტრუქციული პროექტის საბოლოო ანგარიში”, სადაც შენობები განხილულია დეტალურად და

მოყვანილია მის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე მოქმედი დატვირთვების სახეობები და აღძრული ძალვების რიცხვითი სიდიდეები, აგებულია კარკასის სტრუქტურული მოდელი, ფუძეების, საძირკვლების, მიწისქვეშა სართულისა და მიწისზედა ყველა ვერტიკალური და ჰორიზონტალური მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშების შედეგების გათვალისწინებით და წარმოდგენილია დამატებითი დატვირთვების დიაგრამები, ჯდენები, ძალვები და ძაბვები და შესაბამისი ძაბვა-დეფორმაციათა მოზაიკა.

დამატებით გათვალისწინებულია საძირკვლის ფილისა და მიწისქვეშა ავტოპარკინგის კედლების კვეთებში აღძრული ძალვების სიდიდეები, რომლებიც შეესაბამებიან ძირითადი და ავარიული დატვირთვების მოქმედების შემთხვევებს.

პროექტში მოყვანილია მონოლითური რკინაბეტონის ცალკეული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების საყალიბე და არმირების ნახაზები, ასევე, ცალკეული ელემენტების ერთმანეთთან შეერთების, მათში არმატურების შვერილებისა და ურთიერთშენაცვლებითი გადაბმის, განივი, სამონტაჟო (საკიდები), ვერტიკალური და ბზარსაწინააღმდეგო (კავები) არმატურების მოწყობის, შუაკედლისებისა და სავენტილაციო ღიობების მოჩარჩოების, შემომფარგლავი მკვეთი ხიმინჯების და მათი შემკრავი კოჭების და კონსოლური ნაშვერების, მიწისქვეშა სართულების კედლების, ბრტყელი სახურავების, ზღუდარების, პანდუსის, პარაპეტისა და კიბეების, აივნებისა და ტერასების მოაჯირებისა და ვერტილალური და ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაციის მოწყობის კვანძები და დეტალები.

წარმოდგენილია მასალების სპეციფიკაციები, სადაც მითითებულია ყველა გამოყენებული კონსტრუქციული ელემენტების მასალების კლასები და სახელმწიფო სტანდარტის ნომერი.

გრაფიკული ნახაზები შესრულებულია დეტალურად და გარკვევით, მათზე მოყვანილია ყველა საჭირო მითითებები და განმარტებები და აღნიშნულია ასევე +-0.00-ის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული.

პროექტის განხილვისა და ანალიზური შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ შენობების მთლიანობაში და მათი ფუძეების, საძირკვლების, მიწისქვეშა ავტოპარკინგისა და მიწისზედა ნაწილის მზიდი კონსტრუქციები დამუშავებულია არქიტექტურული პროექტისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალების მიხედვით და მისაღები სისრულით. მიღებული გეგმარებითი და კონსტრუიული გადაწყვეტები პასუხობს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებსა და სახელმწიფო სტანდარტებს, მაგრამ მის მიმართ გამოვლინდა

გარკვეული სახის შენიშვნები, დაკავშირებული შენობების ქვეშ საძირკვლის ფილის სისქესა (180 სმ) და ჩადრმავების ნიშნულთან (-11.15 და -12.35), ქვაბულისა და შემომფარგლავი, მკვეთი ხიმინჯების მოწყობის ტექნოლოგიასთან და განმარტებით ბარათსა და ნახაზებში მოყვანილ ზოგიერთ ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებთან, რაც გათვალისწინებული იქნა კონსტრუქტორების მიერ და პროექტში შევიდა სათანადო შესწორებები.

დასკვნა:

განვიხილე რა დამკვეთის, შპს „ელთ ბილინგ“-ის (ს/№406338100) მიერ წარმოდგენილი და შპს „ნეოსენს“-ის (ს/№445631139) მიერ დამუშავებული (კონსტრუქტორები: ნოდარ ჩხარტიშილი და მირზა ბოლქვაძე), ქ. თბილისში, ბაღდადის ქ. №12-ში (საკ. კოდი: 01.17.12.026.002), მრავალსუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, აღვნიშნავ, რომ იგი დამუშავებულია არქიტექტურული პროექტისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალების მიხედვით. მასში მიღებული გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტები პასუხობს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებსა და სახელმწიფო სტანდარტებს და ეძლევა მას რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი,
პროფესორი, საქართველოს
დამსახურებული მშენებელი, **/რევაზ კახიძე/**

რევაზ კახიძის მიერ შესრულებული საექსპერტო სამუშაოების ჩამონათვალი

ა. პროექტების კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №80-ში, 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 2000 წ;

ქ. ბათუმში რუსთაველის ქ. №59-ში 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 2001 წ;

ქ. ბათუმში კობალაძის ქუჩაზე ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 2010 წ;

ქ. ბათუმში 5 და 9 სართულიან საცხოვრებელ სახლებზე ლოჯიის მიშენება, 2010-14 წ;

ქ. ბათუმში, №14 საშუალო სკოლა მაიაკოვსკის ქუჩაზე, 2001 წ;

ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და კომახიძის ქუჩების კვეთაში 5 სართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი სახლი, 2012 წ;

ქ. ბათუმში, ქათამაძის ქ. №7-ში საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია, 2011 წ;

კლუბი 400 ადგილზე ოზურგეთის რაიონ სოფ. ანასეულში, 2010 წ;.

სკოლა 320 მოსწავლეზე შუახევის რაიონის სოფ. ნენიასა და ფურტიოში, 2010 წ;

ლიმონარიუმი ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირში, 2003 წ;

სასოფლო კლუბის შენობა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ზ. ჩხუტუნეთში, 2003 წ;

ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №108-ში მრავალფუნქციური დანიშნულების სახლზე სართულისა და მანსარდის დაშენება 2014 წ.

ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში, ანდრია პირველწოდებულის ქ. №41-ში, 20 სართულიანი სასტუმრო, 2018 წ.

ბ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასებები

ქ. ბათუმში, მრავალფუნქციური კომპლექსის "შავი ზღვის სასტუმრო და საცხოვრებელი", 2013 წ;

ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩის გასწვრივ, სასტუმრო კომპლექსი, 2013 წ;

ქ. ბათუმში, კლდიაშვილის ქ. №14-ში, საცხოვრებელი სახლი, 2013 წ;

ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. №51-ში, საცხოვრებელი სახლი, 2013 წ;

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №94-ში, საცხოვრებელი სახლი, 2013 წ;

ხელვაჩაურის რაიონის ს. გონიოში მრავალსართულიანი კომპლექსი, 2013 წ;

ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №554-ში, საცხოვრებელ სახლი, 2012წ;

ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №18-ის მოპირდაპირედ, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 2012 წ;

ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №277-ში, სასტუმრო, 2011 წ;

ქ. ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო №124-ში, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე ერთი სართულის დაშენება, 2010 წ;

ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში სამშენებლო ობიექტების (11 ობიექტი) რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია;

ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. №16-ში, საცხოვრებელი სახლი, 2013 წ;

ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №38-ში, ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ჩვენ 38"-ის 9 სართულიან საცხოვრებელ სახლზე მანსარდის მოწყობა, 2013 წ;

ქ. ბათუმში, გრიშაშვილის ჩიხი №3-ში, ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ალიონის" 9 სართულიან საცხოვრებელ სახზე მანსარდის მოწყობა, 2013 წ;

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №4-ში, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" ძირითად ტერიტორიაზე სარემონტო მექანიკური და სამეურნეო უბნების და ცენტრალური საწყობის შენობები, 2014 წ;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში და სოფელ ხიდარში საბავშვო ბაგა-ბაღი, 2014 წ;

ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №23-25-ში, საცხოვრებელი სახლი, 2017 წ.

ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში, 15 სართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსი, 2017 წ.

ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში, ანდრია პირველწოდებულის ქ. №41-ში, 20 სართულიანი სასტუმრო, 2018 წ.

ქ. ბათუმში, დასახლება ადლიაში, ადლიის I ჩიხი №47-49-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2018 წ.

ქ. ბათუმში, ანგისის №54-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2019 წ.

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №101გ-ს მიმდებარედ; ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №101გ. ქ. ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2019 წ.

ქ. ბათუმში, ანგისის ქ. №72-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2021 წ

ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი 2021 წ.

ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩა №17-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2022 წ.

გ. შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მშენებლობის წარმოების ეტაპების საექსპერტო შეფასებები

ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. №16-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ნულოვანი ციკლის მშენობლობის წარმოების ეტაპებისა და ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით 2013 წ;

ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ. 8-10-ში, მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2013 წ;

ქ. ბათუმში, მელაშვილის ქ. №12-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2013 წ;

ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. №13-25-ის მიმდებარედ (ხიმშიაშვილის ქ. №25ა) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2013;

ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №34ა-ში, სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2014 წ.

ქ. ბათუმში, მაქაცარიას ქ. №11-ში, შ.პ.ს. საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2014 წ.

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №4-ში, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" №2 ესტაკადის საყოფაცხოვრებო და ლაბორატორიის დამხმარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2014 წ.

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. №4-ში, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" უბან "კაპრეშუმიდან" ნავთობტერმინალამდე მომავალი მაბლოკირებელი მილსადენის ტრასის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2014 წ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში 20 ადგილიანი საავადმყოფოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2016 წ

ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №21-ის უბანზე არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2017 წ.

ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში, 15 სართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2018 წ.

ქ. ბათუმში, ბარათაშვილის ქ. №24-ში, მრავალ-ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, 2020 წ.

რევაზ კახიძე



სახელი და გვარი: კახიძე რევაზ
კადემიური/ადმინისტრაციული თანამდებობა: პროფესორი
დაბადების თარიღი:10,02,1951
მისამართი: ქ. ბათუმი ზ. გორგილაძის ქ. №80 ბ. 7
ელ-ფოსტა rezokakhidse@mail.ru
ტელეფონი:ბინის 27-52-87
მობილური: 599 149 150; 577 145 403

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: ინჟინერ–მშენებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრი.

განათლებისმიმართულება, დარგი: ინჟინერია, მშენებლობა, დიაგნოსტიკა, ექსპერტიზა

სამეცნიერო ინტერესების სფერო: მშენებლობა, მექანიკა, სეისმომედეგობა და დიაგნოსტიკა

სამუშაოგამოცდილება:

2006 წ-დან დღემდე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის სრული პროფესორი.
2006–2013 წლებში შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
2006 – 2010 შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საინჟინრო ფაკულტეტის ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
2006 წლიდან დღემდე პროექტებისა და მშენებლობის ექსპერტი და შპს „კონსტრუქტორი 21“-ის კონსტრუქტორი (შეთავსებით).
2004– 2006საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტის დოცენტი.
1990- 2004 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანი.
1989 – 2004 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადტექნიკური დისციპლინების კათედრის დოცენტი.
1985 - 1989 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.
1978 - 1985საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელი.
1986 – 1989 ”თბილზნიეპის” ბათუმის სამეცნიერო და დანერგვის განყოფილების უფროსი და აჭარის არ ”სახმშენის” პროექტებისა და ხარჯთღრიცხვების საექსპერტო ბიუროს ექსპერტი.

1973 - 1986 ”საქსოფლმშენსახპროექტის”ინჟინერი, უფროსიინჟინერი, საკონსტრუქტორო ჯგუფის ხელმძღვანელი დასამშენებლო განყოფილების უფროსი.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

1. ლოსაბერიძე ა; გვანცელაძე თ; ესაიაშვილი ჯ; კორძაძე თ; კახიძე რ. ”გარსების დინამიკური გამოკვლევები სასრული ურთიერთგადამკვეთი ზოლების მეთოდის გამოყენებით”. შრომები ”გამოკვლევები გარსების დინამიკასა და სტატიკაში”. - თბილისი, მეცნიერება, 1977, გვ. 5-37.
2. კახიძე რ. ”დიდმალიანი გარსული კონსტრუქციის მოდელის ექსპერიმენტული კვლევა საყრდენების სხვადასხვა ფაზაში რხევისას” საქართველოს სსრ სახლმშენის საინფორმაციო ბიულეტენი, № 24. - თბილისი, 1986. 6. გვ.
3. კახიძე რ. ”დიდმალიანი თაღური კონსტრუქციების ექსპერიმენტულ-თეორიული გამოკვლევები საყრდენების სხვადასხვა ფაზებში რხევისას” ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა საკავშირო კონფერენციის ”ჰიდროტექნიკური ნაგებობები მთიან პირობებში” მოხსენებების თეზისები, წყალტუბო, 1986, გვ. 91.
4. კახიძე რ. ”თაღური კონსტრუქციების დინამიკური მახასიათებლები საყრდენების სხვადასხვა ფაზაში რხევისას”. ახალგაზრდა მეცნიერთა სპეციალური სკოლა-სემინარის ”სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები. ხარისხი და საიმედოობა სეისმურ მშენებლობაში”. მოხსენებების თეზისები. - ქობულეთი, 1986, გვ. 57.
5. Кахидзе Р. Лосаберидзе А. Есаиашвили Дж. «Установка для испытания строительных материалов на сейсмические воздействия». Авторское свидетельство №1013793, Бюллетен изобретения №15. -Москва 1986. 6 с.
6. Кахидзе Р. «Динамика большепролетных арочных систем при равнофазных колебаниях опор», Депонированные научные труды, №10,6ВИНИТИ, М,1986, 11 с.
7. მეგრელიშვილი ზ. შმელიოვა ლ. კახიძე რ. ”ნატრიუმ-კათიონიტური ფილტრების დამუშავება სულფატური ჩამდინარი წყლებისათვის”. ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების 47-ე სამეცნიერო სესიის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1990. გვ.9.
8. კახიძე რ. ”თაღური სისტემების კვეთებში ძალვების განსაზღვრა სეისმური ზემოქმედებისას”. ლექტორ მასწავლებელთა სამეცნიერო მეთოდური კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1992. გვ. 18-19.
9. კახიძე რ. ”ძალვების განსაზღვრა ბრტყელ თაღებში დაყვანილი მასის მეთოდით”. ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მეთოდური კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1992. გვ. 19-20.
10. მეგრელიშვილი ზ. შმელოვა ლ. კახიძე რ. ”ნატრიუმ-კათიონიტების დანადგარების მუშაობის ოპტიმიზაცია”. ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1992. გვ. 28-29.
11. კახიძე რ. ”თაღური სისტემების გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე”. ბპი-ს II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1993. გვ.8.
12. კახიძე რ.”თაღური სისტემების გაანგარიშების მიახლოებითი მეთოდი საყრდენების სხვადასხვა ფაზაში რხევისას”. ბპი-ს II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1993. გვ. 9.
13. დანელია დ. მურღულია ნ. კახიძე რ. ახალაძე ი. ”სპეციალური სახის ხელოვნური ნაგებობები სამთო გზებზე”,ბპი-ს II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - ბათუმი, 1993. გვ. 9-10.

14. ფუტკარაძე გ. კახიძე რ. ”რკინაბეტონის სქელკედლიანი შედგენილი გარსების ზიდვის უნარის შეფასება”. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების კრებული. - ბათუმი, 1994. გვ. 5.
15. რ.კახიძე, გ.ფუტკარაძე. ”ფრიად დამრეცი გარსების დინამიკური მახასიათებლების ექსპერიმენტული გამოკვლევა”. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის II სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების თეზისები. ბათუმი, 1995წ. გვ. 9-10.
16. კახიძე რ. ”დამრეცი გარსების გაანგარიშება ბზარების გათვალისწინებით”. სტუ-ს საერთაშორისო სიმპოზიუმის ”უწყვეტ ტანთა მექანიკის პრობლემებზე” მოხსენებების თეზისები, თბილისი,1997 წ. გვ. 98.
17. Талаквадзе О., Кахидзе Р., ”Исследование крутильных колебаний в трансмиссии автомобиля. Демпферы крутильных колебаний”. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის IV სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. ბათუმი, 1997 წ. გვ. 11-12.
18. რ. კახიძე, გ. ფუტკარაძე. ”ფრიად დამრეცი გარსების ზღვრული წონასწორობა დეფორმირებული სქემის გათვალისწინებით”. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის IV სამეცნიერო კონფერენციის მოხს. თეზისები. ბათუმი, 1997 წ. გვ. 13.
19. Г. Путкарадзе, Кахидзе Р. «Определение радиальных перемещении оси большепролётной арки, вызванных горизонтальной раздвижкой опор». ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის V სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების თეზისები. ბათუმი, 1998 წ. გვ. 8.
20. Г. Путкарадзе, Кахидзе Р. «Определение усилий в сечениях большепролётной арки, вызванных горизонтальной раздвижкой опор». ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის V სამეცნიერო კონფერენციის მოხს. თეზისები. ბათუმი, 1998 წ. გვ. 9.
21. Кахидзе Р. «Динамические исследования большепролётных арочных систем при противофазных колебательных перемещениях опор,» БПИ, Труды №1, Батуми 1999г. с. 7-12.
22. Кахидзе Р. «Применение способа приведённой массы для изучения динамики арочных систем при противофазных колебаниях опор». БПИ, Труды №1, Батуми 1999г. с. 27-36.
23. გოგიაშვილი ფ. კახიძე რ. ”სატვირთო ავტომობილის მძღოლის ვიბრო-დატვირთულობის შემცირება სავარძლის საკიდარში დრეკადი კვანძის გამოყენების გზით”. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები, №6. - ქუთაისი, საქართველო, 1998წ. გვ. 99-102.
24. გოგიაშვილი ფ. კახიძე რ. ”ავტომობილ КАЗ-4540-ის სვლის სიმდოვრის პარამეტრების ექსპერიმენტული კვლევა სტატისტიკური დინამიკის გამოყენებით”. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ”შრომები”, №6. - ქუთაისი, საქართველო, 1998წ. გვ. 102-107.
25. კახიძე რ. მამალაძე. ”დაკიდების ელემენტების განზოგადებული სადატვირთო რეჟიმების პარამეტრების გაანგარიშება”. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, №6. - ქუთაისი, საქართველო, 1998წ. გვ. 155-157.
26. გოგიაშვილი ფ. კახიძე რ. ”სატვირთო ავტომანქანის მძღოლის სავარძლის მეორად დაკიდებაში ახალი დრეკადი კვანძების გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტის ანგარიში”. III საერთასორისო სამეცნიერო კონფერენციის ”რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები” მოხსენებები. - ქუთაისი, საქართველო, 1999წ. გვ. 435-437.

27. ხინთიბიძე კ., კახიძე რ., მორჩაძე თ. ”ტრანსმისიის ელემენტების განზოგადოებული სადატვირთო რეჟიმის პარამეტრების გაანგარიშება”. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, №7. - ქუთაისი, საქართველო, 1999წ. გვ. 71-74.
28. სერაფოვი ზ., კახიძე რ. ”ავტომობილის მძღოლის ვიბროდაცვა და სავარძლის ზოგიერთი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების განსაზღვრა დაპროექტების ეტაპზე”. ქსტუ-ს შრომები, №7. - ქუთაისი, 1999წ. გვ. 168-171.
29. კახიძე რ. ”ავტომობილის საკიდარის პარამეტრების ოპტიმიზაცია”. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის ”ინტერტრანს-2000” შრომები, ტ.2. ქუთაისი: ქსტუ, 2000წ. - გვ. 41-44.
30. კახიძე რ. ”ავტომობილის საკიდარის სტატიკური და დინამიკური მახასიათებლები”. I საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციის ”ინტერტრანს - 2000” შრომები, ტ.2. ქუთაისი: ქსტუ, 2000წ. - გვ. 82-87.
31. კახიძე რ. ”ავტომობილის საკიდარის პარამეტრების ოპტიმიზაციის შედეგები”. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის ”ინტერტრანს - 2000” შრომები, ტ.2. ქუთაისი: ქსტუ, 2000წ. - გვ. 134-139.
32. კახიძე რ. სერაფოვი ზ. ,,ავტომობილის დაკიდების ელემენტების განზოგადოებული სადატვირთვო რეჟიმების პარამეტრების გაანგარიშების ზოგიერთი საკითხი,” საერთაშორისო ტექნიკური კონფერენციის შრომები: შრომის დაცვაში, სამთო საქმესა და გეოლოგიაში, თბილისი 2000წ. გვ.53-54.
33. სერაფოვი ზ. კახიძე რ. ”ავტომობილის დაკიდების დიაგნოსტირების რეკომენდირებული ძირითადი სტატიკური და დინამიკური მახასიათებლები”. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომები: შრომის დაცვაში, ეკოლოგიაში, სამთო საქმესა და გეოლოგიაში. თბილისი 2000წ. - გვ. 54.
34. კახიძე რ., მამალაძე თ., ლეკვეიშვილი გ. ”არაწრფივი მახასიათებლების პროგნოზირება სატვირთო ავტომობილის გაუმჯობესებულ საკიდარში”. ქსტუს შრომები, №1 (9). - ქუთაისი, საქართველო, 2001წ. გვ. 111-115.
35. კახიძე რ., თევზაძე მ. ”მექანიკური სისტემის დამყოლობის სინთეზი სტრუქტურული მეთოდის გამოყენებით”. ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, №2 (11). - ქუთაისი, საქართველო, 2002წ. - გვ. 107-110.
36. კახიძე რ., ჟვანია მ., ოშხერელი გ., ბერაძე ც. ”ავტომობილის საკიდარის რხევების სტატისტიკური მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდიკა”. ქსტუ-ს შრომები, №2 (11). - ქუთაისი, საქართველო, 2002წ. გვ. 114-119.
37. კახიძე რ., რუსაძე თ. ”მობილური მანქანის დაკიდების სადიაგნოსტიკო პარამეტრების კვლევა”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებების თეზისები. - თბილისი, 2002. - გვ. 106.
38. კახიძე რ. ბერაძე ც. ”სტენდი ავტომობილის სავარძლისა და სალტის დინამიკური მახასიათებლების განსაზღვირსათვის”. საქართველოს პატენტი არ 2003 3178ა, სკი ო01 F/28, C01G 49/00. სამრეწველო საკუთრების ოფ. ბიულეტენი, №13. - თბილისი, 2003. - გვ.20.
39. კახიძე რ., რუსაძე თ. ”ავტომობილ ქსქ -4540-ის აგრეგატების რესურსის საგარანტიო გარბენასთან შესაბამისობის თანმიმდევრული კონტროლი”.

საქართველოს მეცნიერების აკადემიის ჟურნალი ”მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №7-9. - თბილისი, 2003. - გვ. 59-62.

40. კახიძე რ. რუსაძე თ. ”ავტომობილის სავარძლისა და სალტის დინამიკური მახასიათებლების განსაზღვრის სტენდი”. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნალი ”მეცნიერება და ტექნოლოგიები”, №10-12. - თბილისი, 2003. - გვ. 113-116.
41. Кахидзе Р. В., Кварацхелия А. В., Мачаидзе Е. П., “Устойчивость положения металлических трубопроводов в условиях обводненной трассы”, Доклады Международной Конференции, Казань, КАНЦ. РАН , 2000, с. 118(9),
42. Махашвили Г. М., Худжадзе Д. Н., Кахидзе Р.В. “К вопросу о взаимосвязи организационно-технологической и финансово-экономической моделей управления строительным производством”, Georgian Engineering News, № 1, 2000, Тбилиси, 2000, с. 162-167
43. Кахидзе Р. Дидманидзе И. Ш., Халваши А. Ш., Шаташвили А. Д., Фомина Т. А., Грицук И. В., Савенко Э. С., Прилепский Р. К., “Стенд для испытания главных передач транспортных средств”. Труды Донбасской Национальной Академии Строительства и архитектуры № 2005-7 (55), Донецк, 2005. – с.- 93-95.
44. Кахидзе Р. В., Дидманидзе И. Ш., Донадзе М. В., Шаташвили А. Д., Фомина Т. А., Савенко Э. С., Грицук И. В., “Стенд для динамических испытании ведущих мостов транспортных средств”. Труды Донбасской Национальной Академии Строительства и архитектуры № 2005-7 (55), Донецк, 2005. – с.- 99-102.
45. Кахидзе Р. В., Дидманидзе И. Ш., Девадзе М. Э., «Модели расчета частот собственных колебаний сложных кольцевых динамических систем», Труды Киевского университета им. Тараса Шевченко, Киев, 2005. – с.- 140-142.
46. ლ. ყანჩაველი, ნ. ტაბლიაშვილი, რ. კახიძე ,,ერთგვაროვანი იზოტროპიული წაგრძელებული ფირფიტის მდგრადობა,” სტუ-ს რესპუბლიკური კონფერენციის ,,მშენებლობა და XXI საუკუნე” მოხს. თეზისები, თბილისი 2005 წ. გვ. 53.
47. რ. კახიძე, “სატვირთო ავტომობილების რესორული დაკიდების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისათვის საბორტო დიაგნოსტიკისა და ავტომატური რეგულირების მეთოდების დამუშავება”, საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის შრომები, №2, თბილისი, 2005, გვ. 380-383.
48. რ. კახიძე, თ. რუსაძე, “დარესორებული მასის ტესტური ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლების განსაზღვრა”, საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის შრომები, №2, თბილისი, 2005, გვ. 384-388
49. Kakhidze R. V. , Didmanidze I. Sh. Beridze Z. R., “ Mathematical Model of the Oscillations of Automobile Suspension” «Вісник Київського Університету імені Тараса Шевченка» , Випуск №3 Київ, 2006, на английском языке, – с.-216-221.
50. Кахидзе Р. В., Дидманидзе И. Ш., Девадзе М. Э., “Способ определения демпфирования и жесткости трансмиссии колесной мобильной машины”, Объеденённый научный журнал №5 (165), Москва, 2006. – с.- 46-48.
51. Кахидзе Р. В., Дидманидзе И. Ш., Беридзе З. Р. “Стенд для испытания карданных передач колесных машин”, Объеденённый научный журнал №5 (165), Москва, 2006. – с.- 49-52.

52. Кахидзе Р. В., Дидманидзе И. Ш., Халваши А. Ш. “Стенд для испытания колесных тракторов”, Объеденённый научный журнал №5 (165), Москва, 2006. – с.- 52-55.
53. Кахидзе Р. В., Дидманидзе И. Ш., Донадзе М. В. “Методология определения и контроля диагностических параметров подвески мобильных машин”, Объединенный научный журнал №5 (165), Москва, 2006. – с. 56-58.
54. Кахидзе Р.В. «Расчет частот собственных колебаний сложных кольцевых динамических систем», Издательство «Машиностроение», «Тракторы и Сельскохозяйственные Машины» N 5, Москва, 2006, - с. 41-42
55. Морчадзе Т. Ш., Кахидзе Р. В., «Влияние параметров тягово-сцепного устройство на загруженность трансмиссии автопоезда», Издательство «Машиностроение», «Тракторы и Сельскохозяйственные Машины» N 5, Москва, 2006, - с. 51-52
56. Кахидзе Р. В., “Стенд для испытания колесных тракторов”, Издательство «Машиностроение», «Тракторы и Сельскохозяйственные Машины» N 6, Москва, 2006, - с. 33-34
57. Кахидзе Р. В., “Способ определения демпфирования и жесткости трансмиссии колесной мобильной машины”, Издательство «Машиностроение», «Тракторы и Сельскохозяйственные Машины» N7, Москва, 2006. - с. 31-32.
58. Kakhidze R. V., Didmanidze I. Sh., “Results of Optimize the Mounting Property of Automobile” «Вісник Київського Університету імені Тараса Шевченка» , Выпуск №3 Київ, 2006, на английском языке,- с.217-
59. რ. კახიძე, “სატვირთო ავტომობილების რესორული დაკიდების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისათვის საბორტო დიაგნოსტიკისა და ავტომატური რეგულირების მეთოდების დამუშავება”, საქართველოსსაავტომობილო-საგზაოინსტიტუტისშრომები, №2, თბილისი, 2005, გვ. 380-383.
60. ლ. ყანჩაველი, ნ. ტაბლიაშვილი, რ. კახიძე ,,ერთგვაროვანი იზოტროპიული წაგრძელებული ფირფიტის მდგრადობა,” სტუ-ს რესპუბლიკური და სამეცნიერო კონფერენციის ,,მშენებლობა და XXI საუკუნე” მოხს. თეზისები, თბილისი, 2005.
61. რ. კახიძე, თ. რუსაძე, “დარესორებული მასის ტესტურიამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებლების განსაზღვრა”, საქართველოს საავტომობილო - საგზაო ინსტიტუტის შრომები, №2, თბ, 2005, გვ 384-388.
62. კახიძე რ. მამულაძე რ. საზღვაო ნავსადგურებსა და სატრანსპორტო ტერმინალებში გადატვირთვის პროცესების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. ბათუმის საზღვაო აკადემია. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. შრომები №1, ბათუმი, 2007, გვ. 13 - 24.
63. მეგრელიშვილი ზ., გოგიტიძე ზ, კახიძე რ.”ბათუმის ნავთობმრეწველობის განვითარება(1983-1913წწ)”, საქართველოს ნავთობი და გაზი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საინფორმაციო-ანალიტიკური რეფერირებული ჟურნალი, № 22, თბილისი, 2008, გვ. 34 - 43.
64. ქიქავა თ. კახიძერ. ” ხიმინჯოვანი საძირკვლების გაანგარიშების ზოგიერთი საკითხი”. ენერგია, № 1(45), თბილისი, 2008, გვ. 86-88.
65. კახიძე რ. ლორია მ. ჩხარტიშვილი მ. ”განზოგადებული სადატვირთვო რეჟიმების პარამეტრები დაკიდების ელემენტებისათვის”, ენერგია , № 1(45), თბილისი, 2008,გვ.91-93.
66. კახიძე რ. მამულაძე რ. ”მანქანის ტექნიკური მომსახურების ოპტიმალური პერიოდულობის დადგენა”. ენერგია, № 2(46), თბილისი, 2008, გვ. 108-112.

67. მამულაძერ. კახიძერ. ”ლოგისტიკური სისტემის საიმედოობის მაჩვენებლების გაუმჯობესება”. ენერგია, № 2(46), თბილისი, 2008, გვ. 113-115.
68. გ. ყიფიანი, რ. კახიძე, დ. ყიფიანი. ”დამრეცი გარსების მრავალტალღიანი საფარი, დაყრდნობილი სიგრძეზე ცვალებადი სიხისტის კონტურულ ელემენტებზე.” საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, ინტელექტუალი, № 9, თბილისი, 2009, გვ. 194-197.
69. რ. კახიძე. ”მობილური მანქანის დაკიდების სისტემის ელემენტების განზოგადებული სადატვირთო რეჟიმის პარამეტრები”. ენერგია, № 2(58), თბილისი, 2011,გვ.65.
70. Kipiani G, Gegenava G, Rajczyk M, kakhidze R „Stability of three-layered plates with rectangular cuts“, 2012, pp. 660–662.
71. Zonenashvili I, kakhidze R, Kipiani D, nikoladze M, „solution of homogeneous boundary-value problems of theory of elastic shells and plates by invariant immersion method“,2012, pp. 728–731.
72. Kakhidze R „Application of Mass Reduced Method for Studying of Arch Systems Dynamics at Supports Anti-Phase Oscillations“, Volume 4 Issue 3-4 (Georgian International Journal of Science and Technology), 2012, pp. 233-240.
73. kakhidze R. „STABILITY OF THREE-LAYERED PLATES WITH RECTANGULAR CUTS“, 2012, pp. 660–662.
74. kakhidze R „SOLUTION OF HOMOGENEOUS BOUNDARY-VALUE PROBLEMS OF THEORY OF ELASTIC SHELLS AND PLATES BY INVARIANT IMMERSION METHOD“, 2012, pp. 728–731.
75. kakhidze R “Problems of preservation-modernization of urban housing stock and reliability of existing building structural systems in conditions of increased seismicity of territory of Georgia”ECCE-GSCE-WCCE International Conference Seismics-2014, თბილისი, 2014, გვ.36 –542.
76. რ. კახიძე, „რკინაბეტონის თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშება“, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2014, გვ.49 – 50.
77. რ. კახიძე „ფირფიტის ტიპის მრავალფენიანი კონსტრუქციის სიმტკიცე საფრენ აპარატებში“saqarTvelos meqanikosTa kavSirismexuTe yovelwliuri konferenciaBOOK OF ABSTRACTS, moxsenebaTa Tezisebi, თბილისი, 2015, გვ.56 – 57.
78. ვერულაშვილი ფატიმა, კახიძე რევაზი, „სამფენოვანი ფილის პარამეტრებზე განფენის ტიპის დეფექტების გავლენა”.საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VII ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია,მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2016, გვ.20, 63. Kakhidze R. „The dynamics of large-span arch systems in ravnofaznyh fluctuations“, PDMU-2016 XXVII International Conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES Tbilisi-Batumi, Georgia, May 23-27, 2016.
    1. Дидманидзе И., Беридзе З., Кахидзе Р. „**Области использования беспроводних сетей“.** Материалы IV международной научно-практической интернет-конференций СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ МАТЕМАТИКИ И ЕЕ ПРИКЛАДНЫЕ АСПЕКТЫ – 2015, 25 МАЯ 2015 г. Донецк. стр. 42-43.
    2. Донадзе М., Кахидзе Р., Закарадзе З. „СИСТЕМНЫЙ ПОДХОД К ЗАЩИТЕ ИНФОРМАЦИИ И С КОМПЬЮТЕРНЫХ УГРОЗ“. Материалы V международной научно-практической интернет конференций СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ

РАЗВИТИЯ МАТЕМАТИКИ И ЕЕ ПРИКЛАДНЫЕ АСПЕКТЫ – 2016, 27 МАЯ 2016 г. Донецк. стр. 25-28.

პატენტები:

1. Кахидзе Р. Лосаберидзе А. Есаиашвили Дж. «Установка для испытания строительных материалов на сейсмические воздействия». Авторское свидетельство №1013793, Бюллетен изобретения №15. -Москва 1986. 6 с.
2. კახიძე რ., ბერაძე ც. ”სტენდი ავტომობილის სავარძლისა და სალტის დინამიკური მახასიათებლების განსაზღვირსათვის”. საქართველოს პატენტი არ 2003 3178ა, სკი ო01 F/28, C01G 49/00. სამრეწველო საკუთრების ოფ. ბიულეტენი, №13. - თბილისი, 2003. - გვ.20.

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (ბოლო10 წლის განმავლობაში)

1. ვერულაშვილი ფატიმა, კახიძე რევაზი, „სამფენოვანი ფილის პარამეტრებზე განფენის ტიპის დეფექტების გავლენა”.საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VII ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია,მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2016, გვ.20, 63.
2. “Problems of preservation-modernization of urban housing stock and reliability of existing building structural systems in conditions of increased seismicity of territory of Georgia”ECCE-GSCE-WCCE International Conference Seismics-2014, თბილისი, 2014, გვ.36 –542.
3. „rkinabetonis Txelkedliani konstruqciebis gaangariSeba“, საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2014გვ.49 – 50.
4. “Mathematical Model of the Oscillations of Automobile Suspension” «ВісникКиївськогоУніверситету імені ТарасаШевченка», ВипускN3Київ, 2006, с. 211-215.
5. “Results of Optimize the Mounting Property of Automobile” «Вісник Київського Університету імені Тараса Шевченка», Выпуск №3, Київ, 2006,с.216-219.
6. “Устойчивость положения металлических трубопроводов в условиях обводненной трассы”, Доклады Международной Конференции, Казань, КАНЦ. РАН , 2005, с. 118(9).

სტაჟირება, ტრენინგები(ბოლო10 წლისგანმავლობაში)

ტრენინგ-კურსები უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის სწავლება/სწავლის შესახებ, 2009 წ.

უცხოენების ცოდნა:

ინგლისური (საწყისი), გერმანული(საშუალოდ), რუსული(კარგად)

კომპიუტერულიპროგრამებისცოდნა:

Microsoft Word, Microsoft excel, Power point, Internet Explorer, Auto Cad, Lira 9.6

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-11/734 "15" თებერვალი 2013 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ინჟინერ-მშენებელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, პროფესორ რევაზ კახიძეს (პირადი ნომერი 61001023025) მასზედ, რომ იგი აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს N 1-1/823 ბრძანებით განსაზღვრულ ექსპერტის მოთხოვნებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში რეგისტრირებულია პროექტებისა და მშენებლობის ექსპერტად.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ კახიძე

ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ ძნელაძე

✉ 6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119
ტელ: (04 22) 27 35 10;
ფაქსი: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

✉ 6018, 119 Komakhidze str., Batumi, Georgia
Tel.: (04 22) 27 35 10;
Fax: (04 22) 27 66 71
www.mofea.ge

Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
რევაზ
REVAZ

გვარი / LAST NAME
კახიძე
KAKHIDZE

მოქ. / CIT GEO

სქესი / SEX მამ / M

პირადი No / PERSONAL No
61001023025

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.02.1951

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.09.2024

ბარათის No / CARD No
13IF95660

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ხელვაჩაური
KHELVACHAURI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.09.2014

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE013IF95660161001023025<<<<
5102105M2409076GE0<<<<<<<<<<<2
KAKHIDZE<<REVAZ<<<<<<<<<<<<<<

მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი

№ 001728

თბილისი, 2007 წლის იანვარი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
T05.18 №3 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით

(ოქმი №16 24.10.2006)

გიორგი ჯახიძეს

მიენიჭა ტექნიკის 05.13.16;
მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გასცა
საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

ბ.ს.

სადისერტაციო საბჭოს
თავმჯდომარე:

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს
თავმჯდომარე:

Diploma of a Doctor of Sciences

№ 001728

Tbilisi, January 2007

Georgian Technical University
By Decision of the Dissertation Board T05.18 №3

(Protocol № 16 of 24.10.2006)

THE DEGREE OF A DOCTOR OF SCIENCES
Technics 05.13.16;
WAS CONFERRED ON
Revaz Kakhidze

On the grounds of this decision the diploma has been issued
by the Board of Academic Experts of Georgia

(SEAL)

Chairman of the Dissertation Board

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze

დოცენტის ატესტატი

№ 000666

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 10 28. 10. 94)

მიენიჭა

დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება

შენობები და ნაგებობები სპეციალობით

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ატესტატი გაეცა

საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარე:

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე:

CERTIFICATE OF A DOCENT

№ 000666

Georgian Technical University

By decision of the Professors' Board
(Protocol № 10 of 28. 10. 94)

the scientific-pedagogical title of the Docent

by specialization of Building Constructions, Buildings and Structures

WAS CONFERRED ON

Revaz Kakhidze

On the grounds of this decision the certificate has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Board of Professors R. Khurodze

Chairman of the Board of Academic Experts

საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

აკადემიის წევრ-კორესპონდენტის

დიპლომი

რევაზ კახიძე

არჩეულია 1997 წლის 17 დეკემბერს

პრეზიდენტი კიაზო ნადარეიშვილი

GEORGIAN ACADEMY OF ECOLOGICAL SCIENCES

CORRESPONDENT MEMBER

DIPLOMA

REVAZ KASHIDZE

ELECTED 17 December, 1997

PRESIDENT KIAZO NADAREISHVILI

438

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

ТН № 109668

Москва 8 июня 1988г.

Решением
Совета в Грузинском НИИ энергетики и гидротехнических сооружений
от 28 января 1988 г. (протокол № 1)

Кахидзе Резазу Владимировичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ

КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета Г. Гегелиа

Ученый секретарь совета Б. Бакрадзе

დიპლომი

წარჩინებით

У № 001331

ეს დიპლომი მიეცა კახიძეს
რევაზ ვლადიმერის-ძეს
მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა
ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1973 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1973 წ.
„25“ ივნისის გადაწყვეტილებით
რ.ვ. კახიძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი ბუჩუკური

ქალაქი თბილისი 1973 წ. „4“ X

სარეგისტრაციო № სტ. 1022

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

У № 001331

Настоящий диплом выдан Кахидзе
Ревази Владимировичу
в том, что он в 1968 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В. И. Ленина
и в 1973 году окончил полный курс
названного института

по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „25“ июня 1973 г.
Кахидзе Р. В.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

М. П.

Секретарь Бучукури

Город Тбилиси „4“ X 1973 г.

Регистрационный № ст. 1022

Московская типография Гознака. 1963.